ჩვენი პარტიისა და მთავრობის გრაუნვა ახალი წარმატებებისკენ მოგვიწოდებს

München-72

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 199 (4709)

1972 წ. 7 ოქტომბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა ჯილდოები ოლიმპიადის გმირებს

ვ. სანეევი

სამშობლომ მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით აღნიშნა წლევანდელი საზაფხულო ოლიმპიური თამაშების გმირთა წარმატება. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში დასახელებული არიან თვით საბჭოთა სპორტის ახალი ტრიუმფის შემოქმედნი — ოლიმპიელებიც, მათი მასწავლებლებიც და საერთოდ ყველა, ვისმა მონდომებამ, შრომამ და ცოდნამაც ხელი შეუწყო ალისფერმაისურიანი ათლეტების გამარჯვებას. საბჭოთა სპორტსმენთა ანგარიშზეა 50 ოქროს, 27 ვერცხლისა და 22 ბრინჯაოს მედალი. მოპოვებულია საერთო გუნდური გამარჯვება არაოფიციალურ ჩათვლაში.

ლენინის ორდენით დაჯილდოვდა ექვსი ოლიმპიური ჩემპიონი — საუკეთესოთა შორის საუკეთესონი. თუ შახტელი ინჟინერი ვ. ალექსეევი, რომელმაც ბოლო სამი წლის მანძილზე დაახლოებით 60-ჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდები ზემძიმე წონის ძალოსანთა შორის და დედამიწის ზურგზე ყველაზე ღონიერი კაცის ტიტულს ატარებს, კიეველმა ასპირანტმა ვ. ბორზოვმა ოლიმპიადის მთავარი სარბიელის რეკორტანის ბილიკზე დაამტკიცა, რომ იგი ყველაზე სწრაფი ადამიანია თანამედროვეთა შორის.

კიეველმა ყოველგვარი იმედი გადაუწურა მეტოქეებს, მათ შორის, ამერიკელებსაც, რომელთაც ძალიან გაუჭირდათ იმ აზრის შეგუება, რომ სპრინტში მათი მონოპოლია შრისპო. სხვათა შორის, როგორც 100, ისე 200 მეტრზე ბორზოვი ფინიშთან პირველი მიიჭრა და დამსწრეთ არა მარტო რბენის მოხდენილობა და სიმსუბუქე უჩვენა, არამედ ისიც დაამტკიცა, რომ ძალის დიდი მარაგი ჰქონდა.

სპორტის განვითარების და შედეგების ზრდის დღევანდელ დონეზე ოლიმპიადებში წარმატების გამეორება მხოლოდ ჭეშმარიტად გამოჩენილ ოსტატებს შეუძლიათ. სწორედ მათს რიცხვს ეკუთვნის ლენინის ორდენის კიდევ ერთი კავალერი, თბილისელი ვ. სანეევი, რომელმაც მიუნჰენშიც, ისევე როგორც ამ ოთხი წლის წინ მეხიკოში, სამმხტომელთა შეჯიბრება მოიგო.

ზედიზედ სამ ოლიმპიადაში გამარჯვება მხოლოდ უნიკალური ნიჭით დაჯილდოებულთა ხვედრია. სწორედ ასეთი სპორტსმენები არიან ლენინგრადელი პედაგოგი ლ. პინაევა და მინსკელი დოცენტი ა. მედვედი. ტოკიო — მეხიკო — მიუნჰენი — ასეთია გამარჯვების მარშრუტი შეუდარებელი საბჭოთა მებაიდარე ქალისა და თავისუფალი სტილის მოჭიდავისა. სხვათა შორის, მედვედი მოჭიდავეთა შორის ერთადერთია, რომელმაც შვიდგზის მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. ასევე ფანატიკურად ერთგულია ჭიდაობისა, ოღონდ კლასიკური სტილისა, მეორე საბჭოთა ძმიმეწონოსანი, ლენინგრადელი არსენელი ა. როშჩინი. იგი დღეს არსებული ყველა უმაღლესი ტიტულის მფლობელი იყო, გარდა ოლიმპიური ჩემპიონის სახელისა. ტოკიოში და მეხიკოში მან ვერცხლის მედლები მოიპოვა, ახლა კი მიუნჰენში ოქროს ჯილდო დაისაკუთრა.

რამდენად რთულია სპორტული დიდების გზა, ყველაზე უკეთ საბჭოთა ჩემპიონთა მწვრთნელებმა იციან. შრომის წითელი დროშის ორდენით 20 კაცი დაჯილდოვეს და მათგან შვიდი მწვრთნელია. ესენი არიან მძღოლთა გუნდის მწვრთნელები: ვ. ალექსეევი, ვ. პეტროვსკი, ი. სტეპანჩოხინი; უფროსი მწვრთნელები: ფრენბურთელ ქალთა ნაკრებისა — ბ. ახვლედიანი, წყალბურთელთა გუნდისა — ა. ბლიუმენტალი, კალათბურთელებისა — ვ. კონდრაშინი, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებისა — ბ. რიბალკო.

სამართლიანად ამბობენ, რომ გამარჯვება ყველაზე ძნელია ათჭიდელთა ორდღიან ასპარეზობაში. ოდესელმა სტუდენტმა ნ. ავილოვმა არა მარტო „ათი ღირსების რაინდთა“ დავა მოიგო, არამედ მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. 1500 მეტრზე რბენის სტარტზე სამჯერ გამოვიდა კრასნოდარელი მასწავლებელი ლ. ბრაბინა, და ფინიშთან სამივეჯერ სარეკორდო დროში მივიდა.

ეპითეტი „მებრძოლი“ ერთის შეხედვით თითქოს მაინცდამაინც არ შეეფერებათ საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებს — არა მარტო უაღრესად ქალურ და გრაციოზულ, არამედ ჭეშმარიტად მამაც სპორტსმენებს. მაგრამ მათი წარმატება გმირობა იყო. ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონის ლ. ტურიშჩევას გზა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი, მაგრამ 19 წლის ქალიშვილისთვის უზვეულო თავდაჭერამ, სიდინჯემ და შეუპოვრობამ იგი მრისხანე მეტოქეთა შორის დააწინაურა.

ამ ჩემპიონთა გამარჯვებაც შრომის წითელი დროშის ორდენით აღინიშნა.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 105 კაცი, რომელთა შორის უმეტესობას ოლიმპიელები შეადგენენ.

სპორტსმენთა, მწვრთნელთა, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დიდმა ჯგუფმა მიიღო მედლები „შრომითი მამაცობისთვის“ და „შრომითი წარჩინებისთვის“.

დაჯილდოებულთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის სხვა სპორტსმენებიც.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები, სოხუმელი ა. კერსელიანი (მძლეოსნობა), გორელი გ. პაპიტაშვილი (ძიუდო), სპორტის დამსახურებული ოსტატები, ფოთელი ვ. კრატასიუკი (ნიჩბოსნობა), თბილისელები ლ. თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), შ. საკანდელიძე (კალათბურთი), გორელი შ. ჩოჩიშვილი (ძიუდო).

მედლით „შრომითი მამაცობისთვის“ დაჯილდოვდნენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ქუთაისელი ა. მატკავა (ნიჩბოსნობა), სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, თბილისელი ო. ქორქია (კალათბურთი), სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისელი დ. შანიძე (ძალოსნობა).

მედალი „შრომითი წარჩინებისთვის“ მიიღეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, თბილისელმა გ. ონაშვილმა (ძიუდო), სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, თბილისელმა ბ. მაზიაშვილმა (ძიუდო), სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა, თბილისელებმა ო. ფხაკაძემ (ველოსპორტი), მ. ქორქიამ (კალათბურთი) და მ. ხურცილავამ (ფეხბურთი).



ვ. ალექსეევი

ვ. ბორზოვი

ლ. პინაევა

ა. მედვედი

ა. როშჩინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ფვიდი ტური უკანაა

სოპლე, 4 ოქტომბერი. აქ მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში მთავარი ფინალის 7 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: იუგოსლავია — 21 ქულა, უნგრეთი — 19, სსრ კავშირი — 18,5. ეს გამოირკვა გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ, რომელიც 4 ოქტომბერს დღის პირველ ნახევარში მოეწყო. იუგოსლავია — არგენტინის მატჩის შეწყვეტილ პარტიებში დიდოსტატმა გლიგორიჩმა დაამარცხა ოსტატი გარსია, ივკოვ — რუბინეტის პარტია კი ყაიმით დასრულდა, რის შემდეგ მატჩის ანგარიში გახდა 3:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ასეთივე შედეგით საბჭოთა ნაკრებმა სძლია შვეიცის მოჭადრაკეებს (გადადებულ ორთაბრძოლაში კორჩნოი ყაიმზე შეუთანხმდა ორნშტეინს). უნგრეთის გუნდმა 1 ქულის სხვაობით დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. ერთადერთი გადადებული პარტია (ჰორტი — პორტიში) ყაიმით დასრულდა.

ბოლოს და ბოლოს იმარჯვეს აშშ-ს მოჭადრაკეებმა: ბირნის დახმარებით მათ ესპანელები დაამარცხეს — 3:1 (წინა ტურში ამერიკელებმა კვლავ წააგეს: ზიუიდემ — ბენკო გადადებულ ორთაბრძოლაში დასავდნენ და ჰოლანდიელებმა გაიმარჯვეს — 2,5:1,5).

VII ტურის დანარჩენი მატჩების საბოლოო შედეგები ასეთია: გდრ — ჰოლანდია 1:3 (ულმანი — დონერი 0,5:0,5, ლიბერტი — ჰარტოგი 0,5:0,5), დანია — რუმინეთი 1,5:2,5 (იაკობსენი — ჩოკილტია 0:1).

მთავარი ფინალის მონაწილე გუნდები, რომლებიც სამ ლიდერს მიჰყვებიან, ასეთნაირად არიან განლაგებული: ჩეხოსლოვაკია, გფრ — 16-16 ქულა, რუმინეთი — 15,5, ბულგარეთი — 15, ესპანეთი — 14,5, აშშ — 13,5, შვეიცია, ჰოლანდია — 13-13, არგენტინა — 12, პოლონეთი — 11, გდრ, დანია — 9-9, შვეიცარია — 8.

უძლიერეს ქალთა გუნდების შეჯიბრებაში I ტურის შემდეგ წინაა ორი ნაკრები — სსრ კავშირისა და უნგრეთისა, რომელთაც აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი (2-დან 2 ქულა) აქვთ. რუმინეთის მეტად ძლიერ მეტოქეებთან მატჩში კუშნირის გამარჯვების შემდეგ იმარჯვა გაფრინდაშვილმაც, რომელმაც მოგებით დასრულა პარტია პოლიქრონიადესთან.

სოპლე, 5 ოქტომბერი. როდესაც VIII ტურის ძირითადი დრო ამოწურა, ხთავარი ფინალის ლიდერს — იუგოსლავიის გუნდსა და სსრ კავშირის ნაკრებს შორის სხვაობა 2,5 ქულიდან გაიზარდა... ოთხსახევარ ქულამდე. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მასპინძლებმა ახალ დიდ წარმატებას მიაღწიეს, ხოლო საბჭოთა ოთხეულმა ურიგოდ ითამაშა. უბრალოდ, საბჭოთა დიდოსტატებმა, რომლებიც ამ ტურში შვეიცარიელებს ხვდებოდნენ, შესვენებისთვის ვერ დაამთავრეს ორთაბრძოლები. პეტროსიანმა გადადო პარტია ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონ ჰუგთან, ტალმა — ლომბართან, კარპოვმა — ვირტენსონთან, სავონმა კი გერებენთან.

მასპინძლებმა ვერ შეძლეს გამარჯვებათა სერიის გაგრძელება. მათნი მორიგმა მეტოქეებმა — რუმინეთის მოჭადრაკეებმა ლიდერები აიძულეს ყაიმს დასჯერებოდნენ. ამ მატჩში შესვენდრები ყველა დაფაზე ზავით აღინიშნა: ივკოვი — გეორგიუ, ლიუბოევიჩი — ჩოკილტია, მატანოვიჩი — გიცესკუ, მატულოვიჩი — უნგურიანუ.

ამრიგად, ლიუბოევიჩმა, რომელიც ოლიმპიადაში ბრწყინვალედ თამაშობს, მეორე პარტია დაამთავრა ყაიმით (დანარჩენები მოიგო).

ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ დაამთავრებენ ორთაბრძოლებს საბჭოთა დიდოსტატები. ჯერჯერობით კი იუგოსლავიის მოჭადრაკეებს 23 ქულა აქვთ, უნგრელებს — 20,5 (1 პარტია გადადებულია), საბჭოთა კავშირის ნაკრებს — კვლავინდებურად 18,5 (4):

მთავარი ფინალის VIII ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: ჰოლანდია — ესპანეთი 2,5:0,5 (1), არგენტინა — აშშ 1,5:1,5 (1), უნგრეთი — დანია 1,5:1,5 (1), გფრ — ჩეხოსლოვაკია 0,5:0,5 (3), ბულგარეთი — შვეცია 1,5:0,5 (2), გდრ — პოლონეთი 2:2.

ორიოდე სიტყვა ყველაზე საინტერესო შეხვედრების შესახებ: დასავლეთგერმანელმა დიდოსტატმა ჰიუბნერმა ყაიმით დაამთავრა პარტია სმეიკალთან, ბულგარელმა დიდოსტატმა ბობოცოვმა — ახალგაზრდა ანდერსონთან, ხოლო გდრ-ის გუნდის ლიდერმა ულმანმა წაგო შმიდტთან.

კვლავ „შრალი" ანგარიშით ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ქალთა გუნდმა მთავარ ფინალში. ამჯერად საბჭოთა მოჭადრაკე ქალებმა დაამარცხეს ინგლისელები: კუშნირმა — ჰარსტონი, ხოლო ლევიტინამ — პრიჩუსკე.

მინიმალური სხვაობა

სოპლე, 5 ოქტომბერი. საბჭოთა ვაჟების ნაკრები მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება ოლიმპიადის მთავარი ფინალის ლიდერს — იუგოსლავიის გუნდს. დღეს VIII ტურის გადადებული პარტიების დამთავრებისას, როგორც მოსალოდნელი იყო, ოდხივე საბჭოთა დიდოსტატმა გაიმარჯვა შვეიცარიელებთან თამაშში: პეტროსიანმა დაამარცხა ჰუგი, ტალმა — ლომბარი, კარპოვმა — ვირტენსონი, სავონმა — გერებენი. საბჭოთა ნაკრებმა 22,5 ქულა მოაგროვა, იუგოსლავიის გუნდს 23 ქულა აქვს.

მომდევნო ადგილებზე არიან: უნგრეთი — 21, გფრ — 18,5 ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი — 17,5-17,5, აშშ, ჰოლანდია — 16-16, ესპანეთი — 15,5, შვეცია — 14,5, არგენტინა — 13,5, პოლონეთი — 13, დანია, გდრ — 11-11, შვეიცარია — 8.

ქალთა მთავარ ფინალურ შეჯიბრებაში ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: სსრ კავშირი 4 ქულა 4-დან, უნგრეთი — 3,5, გდრ — 2,5.

ლიდერებს გაუტოლდნენ

სოპლე, 6 ოქტომბერი. მთავარ ფინალში საბჭოთა ვაჟების გუნდი შეჯიბრების ლიდერს — იუგოსლავიის ნაკრებს დაეწია. IX ტურში საბჭოთა დიდოსტატებმა ფრედ (2:2) ითამაშეს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან და 24,5 ქულა დააგროვეს. ამდენივე ქულა აქვთ იუგოსლავიის მოჭადრაკეებს, რომლებმაც უნგრელებთან შეხვედრაში ერთი პარტია გადადეს. ჯერჯერობით ამ მატჩში ანგარიშია 1,5:1,5, ხოლო გადადებულ პარტიაში დიდოსტატ გლიგორიჩს ყაიმისთვის ძნელი ბრძოლა მოელის დიდოსტატ პორტიშთან.

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მატჩში შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს: პეტროსიანმა — ჰორტთან, კორჩნოიმ — სმეიკალთან, სმისლოვმა — ფილიპთან, კარპოვმა — იანსასთან.

დანარჩენმა შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: შვეიცარია — ბულგარეთი 2:2, დანია — გფრ 1,5:1,5 (1), აშშ — რუმინეთი 1,5:1,5 (1), ესპანეთი — არგენტინა 2,5:0,5 (1), პოლონეთი — ჰოლანდია 2:2, გდრ — შვეცია 2:0 (2).

იუგოსლავიისა და საბჭოთა მოჭადრაკეებს შემდეგ მოდიან: უნგრეთი — 22,5 (1), გფრ — 20 (1), ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია — 19,5, რუმინეთი — 19 (1), ესპანეთი — 18 (1), ჰოლანდია — 18, აშშ — 17,5 (1), პოლონეთი — 15, შვეცია — 14,5 (2), არგენტინა — 14 (1), გდრ — 13 (2), შვეიცარია — 10.

მოჭადრაკე ქალთა მთავარ ფინალურ შეჯიბრებაში დამაჯერებლად ლიდერობენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები — 5,5 ქულა 6-დან. III ტურში საბჭოთა გუნდმა დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები — 1,5:0,5. ლევიტინამ მოუგო შიკოვას, ხოლო კუშნირმა ყაიმით დაამთავრა პარტია გეორგიევასთან.

II ადგილზე არიან უნგრელები — 4,5 (1), III — გდრ-ის წარმომადგენლები — 3,5.

საკავშირო მრავალდღიანი...

ველომრგოლელთა ძნელი დღე

ლუცკი, 4 ოქტომბერი. როვნოს მახლობლად მდებარე, დანის პირივით ვიწრო გზატკეცილი, სადაც ავტომანქანების გაუთავებელი ნაკადი მიედინება, დღეს დილით რამდენიმე საათით იქცა საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის V ეტაპის ტრასად. შეჯიბრებას შერჩენილმა 83 სპორტსმენმა ერთფუთიანი სხვაობით აიღო 36-კილომეტრიანი რბოლის სტარტი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უძლიერესები გვიან ებმებოდნენ შეჯიბრებაში.

ახეთ ვითარებაში ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა გორკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, 22 წლის ბ. სუხვი — 54.43 (საშუალო სიჩქარე — 39,4 კმ საათში). ველოტურის ლიდერი, რიგელი რ. კალნენიექსი, რომელსაც მოსახვევამდე (მე-18 კმ) საუკეთესო დრო ჰქონდა, ფინიშის მისადგომებთან ოდნავ ჩამორჩა — 55.06. მესამე პრიზი გამარჯვებულის თანატოლმა, კუიბიშეველმა ა. ჩუსოვმა მოიპოვა — 55,43.

ორი საათის შემდეგ ველორბოლის მონაწილენი VI ეტაპის სტარტზე გამოვიდნენ და როვნოდან ლუცკის გზას დაადგნენ (96 კმ). საშუალედო ფინიშამდე (65-ე კმ) ბევრი არაფერი რჩებოდა, როცა მძლავრი ბიძგით წინ გაიჭრა ახალგაზრდა მოსკოველი ე. სმეტანინი. იგი დროდადრო წუთნახევრით უსწრებდა მთავარ ჯგუფს, მაგრამ საბოლოოდ მეტოქეებს მხოლოდ 19 წამით აჯობა. სმეტანინის დროა 2:13.06, მისი საშუალო სიჩქარე კი საათში 43,7 კილომეტრს უდრიდა.

დანარჩენი პრიზიორები ფოტოფინიშმა დაასახელა: მეორე იყო კიშინიოველი ი. მოსკალიოვი, მესამე — რიგელი ვ. გალინაუსკასი.

ეტაპების ჯამში კვლავ წინაა კალნენიექსი — 18:00.32. ასევე არ შეცვლილა ლიდერი გუნდურ ჩათვლაში: სათავეში ისევ კუიბიშეველთა კოლექტივი დგას — 54:15.44.

მოწინავე სამეულებში მომდევნო ადგილებზე არიან: პირად ჩათვლაში — კუიბიშეველები ნ. სიტნიკი (18:03.22) და ა. გუსიატნიკოვი (18:07.17), ხოლო გუნდურში — მოსკოველთა კოლექტივი (54:29.09) და ლატვიის ნაკრები (54:29.46).

ნახევარი გზა განვლილია

ლვოვი, 5 ოქტომბერი. საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებმა ნახევარი გზა განვლეს: უკრაინის ექვს ოლქში მათ 912 კმ მოიტოვეს ზურგს უკან — წვიმასა და ქარში საათში საშუალოდ 42,3 კმ სიჩქარით იარეს.

ლიდერის ყვითელი მაისური თითქმის მუდამ კალნენიექსს ეცვა, რომელსაც დღევანდელი VII ეტაპის შემდეგაც საუკეთესო დრო აქვს — 21:35.28. მას 3 წუთით ჩამორჩება სიტნიკი, ხოლო დაახლოებით 7 წუთით — გუსიატნიკოვი. გუნდურ ჩათვლაში ისევ კუიბიშეველთა ნაკრები ლიდერობს — 64:57.38.

VII ეტაპი (ლუცკი — ლვოვი, 157 კმ) კიშინიოველმა ვ. ბელოუსოვმა მოიგო — 3:32.15. ეს 26 წლის ჩაფსკვნილი სპორტსმენი „დირიეორობდა" ეტაპს: სწორეთ მან მოაწყო „გაქცევა", როცა ტრასის დასაწყისშივე რამდენიმე კაცი აიყოლია და ძირითად ჯგუფს მოსწყდა. გარდა ამისა, მოიგო ორი საშუალედო ფინიში — 53-ე და 105-ე კილომეტრზე. მასთან ერთად მაღალი ტემპი ოთხმა მრბოლელმა შეინარჩუნა: ტაჯიკეთის წარმომადგენელმა ა. ტიხონოვმა, ჩუსოვმა (მათ შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს, გამარჯვებულს წამის მეათედებით ჩამორჩნენ), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ე. სავინმა და ლენინგრადელმა ვ. ხრაპოვმა.

ლვოვში, ერთი დღის დასვენების შემდეგ, რბოლას 82 ველოსიპედისტი განაგრძობს. წინაა კიდევ შვიდი ეტაპი იმიერკარპატეთის გზებზე. არავის ეეჭვება, რომ გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონთა წოდებას კუიბიშეველები მოიპოვებენ, მაგრამ ვერცხლისა და ბრინჯაოს საკითხი ერთობ ბუნდოვანია — ამ ჯილდოებზე პრეტენზიას აცხადებენ მოსკოვის, ლატვიის, უკრაინის, ლიტვისა და მოლდავეთის ველოსიპედისტები.

ერთი ოჯახიდან...

მოსკოვის 1958 წლის ჩემპიონატში მაღალმა, ცისფერთვალება ჭაბუკმა, 17 წლის ვასია სმისლოვმა გაიმარჯვა. მაშინ ამბობდნენ, კვიცი გვარზე ხტისო. მართლაც, ახალგაზრდა ჩემპიონის მამას — ასევე ვასილ სმისლოვს 1918 წელს თვით ა. ალიოხინისთვის მოუგია. თავად იგი ჭადრაკს არ გაჰყვა, სამაგიეროდ, დიდ ხარბიელზე ვაჟი გამოიყვანა.

იუგოსლავიაში ცნობილი არიან მამა-შვილი ვიდმარები: მამა — დიდოსტატი, ელექტროტექნიკის პროფესორი მილან ვიდმარი, შვილი — ოსტატი, ინჟინერი მილან ვიდმარი.

ცნობილი არიან საბჭოთა ოსტატები, მამა-შვილი იუდოვიჩები. ორივეს მიხეილი ჰქვია. მამა უურნალ „შახმატი ვ სსრ"-ის რედაქტორის მოადგილე, საერთაშორისო ოსტატი და არბიტრია, შვილი — მწვრთნელი ჭადრაკში.

მამის გზა აირჩია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ხ. კაპაბლანკას ვაჟმა — ოსტატმა და მეცნიერებათა დოქტორმა ხ. კაპაბლანკამ. ოღონდ შვილმა მამის ტრიუმფი ვერ გაიმეორა.

მამის კვალს გაჰყვა გამოჩენილი ლიტველი ოსტატის ვ. მიკენასის ვაჟი ალიუსი.

— ალიუსი ნიჭიერი ყმაწვილია, მაგრამ მე არა მგავს: დინჯად თამაშობს, აუჩქარებლად, ცეცხლი აკლია. ვფიქრობ, მაინც კარგი ოსტატი დადგება, — გვითხრა ვ. მიკენასმა.

მოსკოველი ოსტატი ს. ბელავენეცი სამამულო ომის წინ დიდოსტატის წოდების ნაღდი კანდიდატი იყო. ომი რომ დაიწყო, ბელავენეცი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. 1941 წლის ზამთარში იგი გმირულად დაეცა. ნიჭიერ ოსტატს ჩვილი გოგონა დარჩა. ლიუდმილა რომ წამოიზარდა, მამის გატაცებაზე უამბეს. გოგონამ გადაწყვიტა თავადაც მოჭადრაკე გამხდარიყო და სიბეჯითით, მამის ამხანაგების ხელშეწყობით იცნობაც აისრულა. მერე ოსტატმა ლიუდმილა ბელავენეცმა მამის ნაწერები შეკრიბა, დაამუშავა და წიგნად გამოსცა, რითაც სახელოვან მშობელს დაუვიწყარი ძეგლი აუგო.

ხშირად პირიქითაც ხდება. 1956 წელს მოსკოვში გავიცანით მსოფლიო ჩემპიონ ა. ალიოხინის ერთადერთი ვაჟი ალექსი, რომელმაც ჭადრაკის თამაში საერთოდ არ იცის. მამასთან ცოტა ხანს ვცხოვრობდი, ვინაიდან მშობლებს ოჯახი დაეშალათო, თავი გაიმართლა ალექსიმ.

საქვეყნოდ ცნობილი არიან დედა-შვილი ოლგა და ელენა რუბცოვები. ოლგა მსოფლიოს ექს-ჩემპიონია, ელენა — ბევრი დიდი ტურნირის პრიზიორი. ჩვენც გვყავს ასეთი საამაყო დედა-შვილი — საქართველოს 1947-48 წლების ჩემპიონი ლილი გელოვანი და საქართველოს 1958 წლის ჩემპიონი, ოსტატი მანანა ტოგონიძე. მათ ერთ ტურნირშიც უთამაშიათ.

ცნობილია საჭადრაკო ოჯახებიც, თუნდაც იმავე რუბცოვებისა. ელენას მამა ა. პოლიაკი ვეტერანი ოსტატია. ცნობილია, აგრეთვე, ვოლგოგრადელი ოსტატების ი. გურფინკელისა და ა. კონსტანტინოვის ოჯახი. მათი ქალიშვილი თამარი საკავშირო ტურნირებშიც მონაწილეობს.

ვინ არ იცნობს ცოლ-ქმარ გ. და ვ. ბორისენკოებს. ორივენი საერთაშორისო ოსტატები არიან და სისტემატურად მონაწილეობენ გუნდურ ჩემპიონატებშიც, როგორც უზბეკეთის წარმომადგენლები. საჭადრაკო ოჯახი შექმნეს ლატვიის ჩემპიონებმა ი. კლოვანმა და ა. ერგლემ, უფრო უწინ კი მოლდავეთის მოჭადრაკეებმა რ. და ბ. ნეველინიჩებმა, ბ. და ი. მოხიონუკებმა.

უფრო ხშირად ერთი ოჯახიდან მოჭადრაკეები და-ძმა, ძმები და დები არიან.

წარსულში ცნობილი იყვნენ ძმები ბერტოლდ და ემანუილ ლასკერები. ბერტოლდმა უცროს ძმას ნიჭი რომ შეატყო, ხელი შეუწყო დაოსტატებაში. მერე ემანუილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა (იგი ჭადრაკის მეფის ტახტს 27 წელიწადს ფლობდა).

ძლიერი მოჭადრაკე იყო ა. ალიოხინის უფროსი ძმა ალექსიც. იგი საკუთარ საჭადრაკო უურნალს გამოსცემდა. ძმების პაექრობა მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა. თამაში ორივეს დედამ ასწავლა.

ძლიერი ოსტატები იყვნენ ბაქოელები ვლადიმერ და მიხეილ მაკოგონოვები. მათ თბილისშიც უთამაშიათ.

დღეს კარგი მოჭადრაკეების სახელი გაითქვეს ერევნელმა ოსტატებმა კარენ და ლეონ გრიგორიანებმა.

მოჭადრაკე დებიდან ყველაზე სახელოვანი იყვნენ ვერა და ოლგა მენჩიკები. ვერა მსოფლიოს პირველი ჩემპიონი იყო, ოლგამ რამდენიმეჯერ ითამაშა მსოფლიო პირველობაში. მათ მისაბაძი დობა ჰქონდათ და ერთად დაიღუპნენ 1944 წლის 27 ივნისს, როცა ჰიტლერელებმა ლონდონი დაბომბეს.

ამჟამად თამაშობენ ლატვიელი დები ბ. და თ. ვილერტები, ქართველები — ქ. და რ. გეგიძეები...

გასულ საუკუნეში ცნობილი იყვნენ გერმანელი და-ძმა ამალია და ლეო პაულსენები. მათ 1875 წელს ნიუ-იორკში მატჩიც კი ითამაშეს (გაიმარჯვა ძმამ — 6:5).

ჭადრაკის ამჟამინდელი დედოფლის ნ. გაფრინდაშვილის ძმები ემზარი და მურადი საკმაოდ ძლიერად თამაშობენ. ნონას ძმებთან ერთად ტურნირებშიც მიუღია მონაწილეობა. მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკის და ირინაც თამაშობს ჭადრაკს, მაგრამ იგი შაშში უფრო წინ წავიდა — სსრ კავშირის ჩემპიონი და სპორტის ოსტატია.

თ. გიორგაძე.

სურათზე: ოლგა (ზის) და ელენა რუბცოვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესტივალი მანსარეულ-72

სსრ კავშირის პირველობა

ჯანსაღი, ჯილაგი

ფუჭი პენალტები

5 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრა: „ტორპედო“ და ცსკა.

ტორპედოელებმა შეძლეს გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის დამარცხება — 2:1. გამარჯვებულთაგან ორივე ბურთი გაიტანა სმირნოვმა (მე-12 და 74-ე წუთზე), ხოლო ცსკა-ს მხრივ — დოროფეევმა (76). აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში დანიშნული იყო ორი პენალტი, მაგრამ ვერც ტორპედოელმა კრასნოვმა, ვერც არმიელმა პოლიკარპოვმა ვერ შეძლეს მათი გამოყენება.

უმაღლესი ლიგა

თბილისში — 5 : 1
ერევანში — 2 : 3
მოსკოვში — 1 : 0

ფუჭიწ...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ლვოვის „კარპატი“. მასპინძლებმა ჩინებულად ითამაშეს და მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხეს — 5:1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს გავაშელმა (მე-15 და 75-ე წუთებზე), ხარცილავამ (17), გ. ნოდიამ (49) და გუცაევმა (67). ერთადერთი საპასუხო გოლი მასპინძელთა კარში 84-ე წუთზე გაიტანა ბროვარსკიმ.

ერევანში ადგილობრივი „არარატი“ დამარცხდა „დნეპრთან“ — 2:3.

სსრ კავშირის დედაქალაქის გუნდების — „სპარტაკისა“ და „დინამოს“ მატჩში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა. შეხვედრის ბედი ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა — 1:0.

შანსი ჯერ კიდევ არის

I ლიგა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 4 ოქტომბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 2:0 (1:0).

„ტორპედო“: კავაზაშვილი (გრძელიშვილი), მაზიაშვილი, პეტროვი, ფრიდმანი, მირონოვი, ოქროპირაშვილი, ლენიოვი, ჭოლაძე, ფესტვენიძე (შელია), ხერხაძე, ჯ. სილაგაძე (ქვირია).

„სტროიტელი“: პოკატილოვი, გელდიევი, დანილიანცი, ძაგოევი, პოლშკოვი, ჩერნიავი (შაულოვი), ბერდიევი, პოპოვი, ფომინი (ტიმოშენკო), მენზელეევი, ლიტოვკინი (ფურსოვი).

მსაჯი ი. სამუსენკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:2.

ქუთაისის „ტორპედოს“ ჯერ კიდევ აქვს უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსი. ახლა საქმე ისაა, როგორ ითამაშებენ მისი მთავარი კონკურენტები და, რაც მთავარია, როგორ ითამაშებენ ჩვენი ფეხბურთელები სტუმრად.

განვლილ ტურში ტორპედოელები ხვდებოდნენ გუნდს, რომელიც აუტსაიდერთა შორისაა და ამიტომ ძალების მაქსიმალური დაძაბვით იბრძვის I ლიგაში დასარჩენად საჭირო ქულათა მარაგის დასაგროვებლად. მართალია, მასპინძლებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ პირველივე წუთებიდან, მაგრამ „სტროიტელის“ ფეხბურთელებს მთელი მატჩის მანძილზე ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და თავგამოდებით იბრძოდნენ მდგომარეობის სახსნელად.

ქუთაისელთა საერთო უპირატესობა განაპირობა ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზების დიდმა აქტიურობამ, აგრესიულობამ და, როცა ანგარიში უკვე მე-17 წუთზე გაიხსნა, გუნდმა კიდევ უფრო დამაჯერებლად წარმართა თამაში. ლამაზი გოლი იყო: ტორპედოელებს მიეცათ საჯარიმო დარტყმის უფლება, სილაგაძემ ბურთი „კედელს“ ზემოთ გადააგდო, მას სწრაფად შეჰყვა ხერხაძე და ოსტატური დარტყმით აიღო კარი — 1:0. ათიოდე წუთის შემდეგ ჭოლაძის მოულოდნელი დარტყმა სულ ოდნავ ასცდა მიზანს, შემდეგ ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს მაზიაშვილმა, ფესტვენიძემ. საპასუხო გოლის გატანის შესაძლებლობა მიეცა მენზელეევსაც, მაგრამ საბოლოო დარტყმის დროს საჭირო სიზუსტე ვერც მან გამოიჩინა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები განაგრძობდნენ იერიშებს. ანგარიშის გაზრდის საშუალება ჰქონდათ ოქროპირაშვილს, ლენიოვს. 55-ე წუთზე ხერხაძე — სილაგაძის კომბინაციის შემდეგ ბურთი გადაეცა ფესტვენიძეს, რომელმაც თავით გაგზავნა იგი მეტოქის კარში.

10 ოქტომბერს ქუთაისელ ფეხბურთელებს ძალიან საპასუხისმგებლო და საინტერესო მატჩი აქვთ თავიანთ მიწდორზე დონეცკის „შახტიორთან“, რომელიც, აგრეთვე, უმაღლეს ლიგაში გადასვლის კანდიდატია.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ბალი ვატრეკი

ასე დამთავრდა:

„მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 0:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 3:2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:1, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „კრივბასი“ (კრივოი როგი) 1:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0, „შახტიორი“ (დონეცკი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 2:0, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „პამირი“ (დუშანბე) 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომორი“.	32	17	8	7	61—31	42
„შახტ“. (დ)	32	15	12	5	46—18	42
„ფახთაქ“.	30	18	6	6	50—24	42
„ზვეზდა“	33	14	12	7	38—31	40
„კრ. სოვეტ“.	32	12	15	5	41—27	39
„შინიკი“	32	15	9	8	36—28	39
„ტორპედო“	31	17	4	10	42—24	38
„სპარტაკი“	32	12	10	10	40—39	34
„შახტ“. (ყ.)	33	10	12	11	31—38	32
„პამირი“	31	10	11	10	37—41	31
„ალგა“	32	8	13	11	33—34	29
„ტექსტილ“.	32	9	11	12	30—41	29
„ავტომობ“.	32	7	14	11	24—37	28
„მეტალურ“.	32	10	7	15	38—41	27
„მეტალის“.	32	7	12	13	25—33	26
„სტროიტ“.	32	9	8	15	30—50	26
„ნისტრუ“	32	7	11	14	29—40	25
„დინამო“	32	6	12	14	24—44	24
„ურალმაში“	32	7	9	16	30—48	23
„კრივბასი“	32	6	10	16	38—54	22

II ლიგა III ზონა

3 ოქტომბრის ტურის მატჩებიდან გამოკვეყნებული არ გვქონდა ერთი შედეგი: მაიკოპის „დრუჟბამ“ და ვორონეჟის „ტრუდმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	31	18	10	3	59—27	46
„უუბანი“ (კრასნოდარი)	32	18	9	5	54—19	45
„მერცხალი“ (მახარაძე)	32	17	7	8	43—33	41
„დინამო“ (ბათუმი)	31	14	12	5	48—33	40
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	32	14	10	8	43—28	38
„დინამო“ (ბრიანსკი)	31	15	5	11	42—41	35
„ზვეზდა“ (ტირასპოლი)	31	14	6	11	31—24	34
„სალუტი“ (ბელგოროდი)	32	12	10	10	34—35	34
„დრუჟბა“ (მაიკოპი)	31	12	9	10	38—29	33
„მაშინოსტროიტელი“ (პოდ.)	31	13	7	11	32—29	33
„დილა“ (გორი)	33	11	11	11	33—34	33
„კოლხეთი“ (ფოთი)	32	11	8	13	33—39	30
„დინამო“ (სოხუმი)	31	7	12	12	33—45	26
„კალიტვა“ (ბელაია კალიტვა)	30	9	7	14	36—38	25
„ბურია“ (ულანჩხუთი)	32	9	7	16	36—48	25
„მეტალურგი“ (რუსთავი)	32	7	9	16	26—41	23
„ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი)	31	6	10	15	28—45	22
„შრ. რეზერვები“ (კურსკი)	32	7	4	21	30—69	18
„სპარტაკი“ (ორიოლი)	31	3	11	17	26—48	17

ჯეფ ჰერსტი დაისაჯა

როგორც „სტოკ-სიტიში“ ახალგადასული ჯეფ ჰერსტი „იფსვიჩ თაუნთან“ მატჩში მსაჯთან კამათისთვის მინდვრიდან იქნა გაძევებული. ამისთვის იგი მკაცრად დაისაჯა — 10 დღით მიიღო დისკვალიფიკაცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჰერსტს მონაწილეობა არ უნდა მიეღო გფრ-ის „კაიზერს ლაუტერნთან“ უეფა-ს თასის გათამაშების პირველი წრის განმეორებითს მატჩში.

უჰერსტობა დაეტყო გუნდს და, მიუხედავად იმისა, რომ პირველი თამაში მოგებული ჰქონდა (3:1), „სტოკ-სიტი“ დასავლეთ გერმანიაში დამარცხდა ანგარიშით 0:4 და გამოეთიშა უეფა-ს თასისთვის მებრძოლ კოლექტივებს.

(საკ. ინფ.).

ევროპის ტურნირები

მეორე წრის კენჭისყრა

რომში გაიმართა ევროპული საკლუბო ტურნირების მეორე წრის კენჭისყრა.

ჩემპიონთა თასი

მერვედფინალი

„ბაიერნი“ (მიუნჰენი, გფრ) — „ომონია“ (კიპროსი), „დერბი ქაუნთი“ (ინგლისი) — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია), „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) — „მაგდებურგი“ (გდრ), „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — „უიპეშტ დოჟა“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი), „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „ცსკა-სეპტემვრიისკო ზნამე“ (სოფია, ბულგარეთი) ან „პანათინაიკოსი“ (ათენი, საბერძნეთი), „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია) — „სპარტაკი“ (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია), „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „არჯესი“ (პიტეშტი, რუმინეთი), „დინამო“ (კიევი, სსრ კავშირი) — „გურნიკი“ (ზაბჟე, პოლონეთი).

პრესაში გამოქვეყნებული იყო ცნობა იმის თაობაზე, რომ ბულგარეთის „ცსკა-სეპტემვრიისკო ზნამემ“ პენალტებით მოუგო საბერძნეთის „პანათინაიკოსს“. ბერძნებმა გააპროტესტეს ამ მატჩის შედეგი, ამიტომ პროტესტის განხილვამდე ამ წყვილში გამარჯვებული ჯერ დაუსახელებელია.

თასების მფლობელთა თასი

მერვედფინალი

„ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრ კავშირი), „სპარტა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი), „ლეგია“ (ვარშავა, პოლონეთი) — „მილანი“ (იტალია), „რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) — „რაპიდი“ (ბუქარესტი, რუმინეთი), „რექსჰემი“ (უელსი) — „ჰაიდუკი“. (სპლიტი, იუგოსლავია), „ჰიბერნიენსი“ (დუბლინი, ირლანდია) — „შალკე-04“ (გელზენკირჰენი, გფრ), „ჰიბერნიენი“ (ედინბურგი, შოტლანდია) — „ბესა“ (ალბანეთი), „კარლ ცაისი“ (ინნა, გდრ) — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი).

უეფა-ს თასი

მეთექვსმეტედფინალი

I ჯგუფი

„დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია, ბულგარეთი) ან „უნივერსიტატეა“ (ბუქარესტი, რუმინეთი), „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი, გფრ) — „ჰვიდოვრე“ (დანია), „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი), „პორტუ“ (პორტუგალია) — „ბრიუჟი“ (ბელგია).

II ჯგუფი

„ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია) — „ვალენსია“ (ესპანეთი), „ნორჩეპინგი“ (შვეცია) — „ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია), „კიოლნი““ (გფრ) — „ვიკინგი“ (ნორვეგია), „ბეროე“ (ბულგარეთი) — „ჰონვედი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი).

III ჯგუფი

„ოფკ-ბელგრადი“ (იუგოსლავია) — „ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია), „ლივერპული“ (ინგლისი) — აეკ (ათენი, საბერძნეთი), „ვიტორია“ (სეტუბალი, პორტუგალია) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია, იტალია), „ვრასპოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) — „არარატი“ (ერევანი, სსრ კავშირი).

IV ჯგუფი

„ბარეირენსე“ (ბარეირუ, პორტუგალია) — „კაიზერსლაუტერნი“ (გფრ), „ლას-პალმასი“ (ესპანეთი) — „სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია), „რუბი“ (ხოეუვი, პოლონეთი) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ), „ფრემი“ (დანია) — „ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია).

იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასა“ და შვეიცარიის „ლოზანას“ განმეორებითი მატჩი მოიგეს შვეიცარიელებმა (3:2), მაგრამ ვინაიდან პირველ შეხვედრაში „ცრვენა ზვეზდამ“ გაიმარჯვა ანგარიშით 5:1, იგი შემდგომ ეტაპზე ითამაშებს.

დებულების თანახმად, სამივე ევროპული ტურნირის პირველი მატჩები გაიმართება 25 ოქტომბერს, ხოლო განმეორებითი — 8 ნოემბერს.

სპორტლოტოს მოგება

როგორც უკვე ვიუწყებოდით, „სპორტლოტოს“ 27-ე ტირაჟში (იაროსლავლი) იღბლიანი გამოდგა ეს ნომრები: 20, 24, 25, 28, 35, 37.

„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალურ სამმართველოში ცნობილი გახდა ამ ტირაჟის შედეგები. ჩვენს რესპუბლიკაში ექვსივე სახეობა ვერავინ გამოიცნო, მაგრამ ორი კაცი მაინც 5000-5000 მანეთს მიიღებს: მათს ბილეთებზე სწორადაა გადახაზული ხუთ-ხუთი სახეობა.

5000 მანეთი ხუთი ნომრის იღბლიანად გადახაზვისთვის

როგორც იცით, დღევანდლამდე სარეკორდო იყო 3120 მანეთი, „რეკორდსმენი“ კი „მთავარგაზის“ ინჟინერი ზ. შენგელია გახლდათ. დიდი მოგება ხვდა ბილეთებს, რომლებზეც სწორადაა გადახაზული 4-4 ნომერი — 118 მანეთი. ის, ვინც სამი ნომერი გამოიცნო, 4 მანეთს მიიღებს.

26-ე ტირაჟის იმ ბილეთებს შორის, რომლებზეც 5-5 სახეობა სწორადაა გადახაზული, ერთი ერთჯერადი და ორი ერთთვიანი ბილეთია. ერთთვიანი ბილეთების პატრონებს მოგება ჯერ არ მიუღიათ. გაგახსენებთ, რომ ვადა 30 ოქტომბერს იწურება.

„სპორტლოტოს“ შემდეგი, 28-ე ტირაჟი 10 ოქტომბერს მოეწყობა ჩელიაბინსკში.

ი. ლოკაკინი,
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

სპორტული ოქტომბერი

შემოდგომის მეორე თვეში დამთავრდება საკავშირო პირველობები სპორტის ბევრ სახეობაში. გთავაზობთ უმთავრეს შეჯიბრებათა კალენდარს.

აკრობატიკა

18-20. სსრ კავშირის თასი (ბაქო).

აფროსნობა

11-18. საერთაშორისო შეჯიბრება — შავი ზღვის რეგატა „მეგობრობა" (სოჭი).

ბატუტი

13-24. აშშ-სა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (აშშ).

ველოსპორტი

11-16. სსრ კავშირის თასი ტრეკზე (სიმფეროპოლი).

28-31. სსრ კავშირის თასი კროსში (დუშანბე).

თავისუფალი ჭიდაობა

13-15. სსრ კავშირის თასი (ბაქო).

კალათბურთი

8-15. ევროპის ქალთა ჩემპიონატი (ბულგარეთი).

კრივი

19-23. საერთაშორისო შეჯიბრება (იუგოსლავია).

მუვილდოსნობა

22-23. სსრ კავშირის თასი (დუშანბე).

მძლეოსნობა

7-9. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ღია ჩემპიონატი უცხოელ სპორტსმენთა მონაწილეობით (ოდესა).

8. პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ფინალური შეჯიბრება უცხოელ სპორტსმენთა მონაწილეობით (ჩირჩიკი).

15-16. 26 კომისრის სსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება (ბაქო).

სამგო

19-20. სსრ კავშირის ჩემპიონატი (კრასნოიარსკი).

ტენისის სროლა

14-23. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მინსკი).

ფარიკაობა

26-29. საერთაშორისო შეჯიბრება (კუბა).

ფეხბურთი

13. მსოფლიო ჩემპიონატი, შესარჩევი თამაშები: საფრანგეთი — სსრ კავშირი (საფრანგეთი).

13. იუნიორთა (23 წლამდე) ევროპის პირველობა. შესარჩევი თამაშები: სსრ კავშირი—საფრანგეთი (მოსკოვი).

18. ევროპის იუნიორთა პირველობა. შესარჩევი თამაშები: სსრ კავშირი — ფინეთი (ლენინგრადი).

18. მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი თამაშები: ირლანდია — სსრ კავშირი (ირლანდია).

ფიგურული ციგურაობა

12-15. საერთაშორისო შეჯიბრება (ლენინგრადი).

17-24. საკავშირო შეჯიბრება ცეკვაში (დონის როსტოვი).

ფრენბურთი

7-11. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება (იტალია).

27-29. ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება (გდრ).

შაში

7-16. სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ფინალი რუსულ შაშში (იალტა).

10-31. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალი რუსულ შაშში (ორენბურგი).

ჩოგბურთი

10-15. სსრ კავშირის თასი (დუშანბე).

ძალოსნობა

21-25. სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობა (კიროვაბადი).

ძიუდო

14-17. საერთაშორისო შეჯიბრება (კუბა).

წყალბურთი

7. სსრ კავშირის ჩემპიონატი პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. მეორე წრე. I ტური (ბაქო, ალმა-ათა).

20-22. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. მონაწილეობს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდი (დიდი ბრიტანეთი).

25-30. სსრ კავშირის ჩემპიონატი პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. II წრე. II ტური (მოსკოვი).

ჭადრაკი

11. X-4. XI. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (თბილისი).

20. X-14. XI. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება (კისლოვოდსკი).

ხელბურთი

27. X-4. XI. სსრ კავშირის ჩემპიონატი პირველი ჯგუფის ვაჟთა გუნდებს შორის. მეორე წრე (ტაშკენტი).

ჰოკეი

31. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ცსკა (სსრ კავშირი) — „დინამო" (გდრ). მოსკოვი.

გ. ჟ. ნებიერიძე

ეს დინჯი და მუდამ შოლმბარი ჭაღარა კაცი პაციენტებს სიცოცხლისა და მომავლის რწმენას უნერგავდა. მის მნახველს სიშფოთიდე გეუფლებოდათ და, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ დიდი ხნის წინათ კუნთმაგარ ჭაბუკს სახელი სიმარდემ და მოქნილობამ გაუთქვა.

გიორგი (ჟორა) ბლატონის ძე ნებიერიძე დაიბადა 1902 წელს თბილისში და სპორტული ანბანის კითხვა, როგორც ყველა მისმა თანატოლმა თბილისელმა, „შევარდენში" დაიწყო.

1922 წელს 100 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში საქართველოს რეკორდები დაამყარა, ხუთი წლის მანძილზე საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის უცვლელი წევრი იყო და ხშირად მონაწილეობდა საკავშირო შეჯიბრებებში.

განვლო სტუდენტურმა სპოტულმა წლებმა. თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გიორგი ნებიერიძე მუშაობს ფიზკულტურის სამკურნალო კაბინეტში, შემდეგ კი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ექიმად.

ბოლო ორი ათეული წელიწადი გ. ნებიერიძემ საექიმო საქმეს შესწირა. ყველა პაციენტი თუ კოლეგა მისი მადლიერი იყო, მადლიერი იყო პროფესიული ოსტატობის, გულთბილი ამხანაგობის, კეთილი ურთიერთობის გამო. დღეს გიორგი წავიდა ჩვენგან, წავიდა ვალმოხდილი და ყველას, ვინც კი ვიცნობდით, კაცური სევდა დაგვეტოვა.

ამხანაგების ჯგუფი.

ლიდერი დამარცხდა

წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ჯგუფური ტურნირებიდან ალმა-ათაში გაიმართა III და IV ტურების მატჩები, ხოლო ბაქოში — II და III ტურებისა.

III ტურში თბილისის დინამოელებმა კიეველ თანაკლუბელებთან დაძაბული ბრძოლა ფრედ დამთავრეს — 5:5. თბილისელებმა მოიგეს პირველი და მესამე პერიოდები (2:1, 1:0), ხოლო მეორე და მეოთხე პერიოდები ერთნაირი ანგარიშით (1:2) წააგეს.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბის გუნდმა გაჭირვებით სძლია ალმა-ათის „დინამოს" — 4:3.

IV ტურში თბილისის „დინამო" ისევ ენებდა. ლენინგრადის „ბალტიკამ" შეძლო გათამაშების ლიდერის — სამხედრო მეზღვაურთა კოლექტივის დამარცხება — 4:3.

ალმა-ათის დინამოელებმა სძლიეს კიეველ თანაკლუბელებს — 4:3.

ბაქოში II და III ტურების მატჩები ასე დამთავრდა: მოსკოვის უნივერსიტეტი — „დინამო" (მოსკოვი) 7:3, „ტორპედო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 4:3, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია—„დინამო" (მოსკოვი) 2:2, მოსკოვის უნივერსიტეტი — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 2:1.



ჯარიმა.

ა. საკოვის ფოტო.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი	13	11	1	1	68—49	23
მოსკოვის უნივერსიტეტი	12	10	2	0	69—47	22
„დინამო" (მოსკოვი)	12	4	4	4	50—49	12
„დინამო" (თბილისი)	12	5	2	5	56—56	12
„დინამო" (კიევი)	12	5	2	5	53—55	12
„ბალტიკა" (ლენინგრადი)	12	2	5	5	46—57	9
კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო)	11	2	4	5	44—46	8
„სპარტაკი" (ვოლგოგრადი)	11	3	1	7	42—47	7
„ტორპედო" (მოსკოვი)	11	2	3	6	40—50	7
„დინამო" (ალმა-ათა)	12	3	0	9	44—56	6

„ალბერტ ჰოლი"

საბჭოთა მოკრივეთა გუნდი, რომელიც შემადგენლობაში ორი ოლიმპიური ჩემპიონია, 1 ნოემბერს ლონდონის „ალბერტ ჰოლში" ინგლისის ნაკრებთან ჩაატარებს ამხანაგურ მატჩს. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ დარბაზში 1966 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დღეებში რამდენიმე კონცერტი გამართა ქართული ცეკვის სახელგანთქმულმა ანსამბლმა ნ. რამიშვილისა და ი. ხუხაშვილის ხელმძღვანელობით.

(საკ. ინფ.).

კატარა ჩოგნის ოსტატები

ლვოვი, 5 ოქტომბერი. მაგიდის ჩოგბურთის უძლიერესი საბჭოთა ოსტატები ოთხი დღის განმავლობაში იბრძოდნენ აქ გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში. ქალთა გუნდებს შორის პირველი სამი ადგილი სსრ კავშირის პირველმა, მეორე და მესამე ნაკრებმა კოლექტივებმა დაიკავეს. ვაჟთა გუნდების ტურნირში ასეთი „რანგობრივი" თანმიმდევრობა არ ყოფილა: I ადგილი დაიკავა ქვეყნის მესამე ნაკრებმა, მას კი პირველი და მეორე ნაკრები კოლექტივები მიჰყვნენ.

პირად ჩათვლაში ქალთა შორის ყველას აჯობა ოდესელმა გ. ერიომენკომ, რომელმაც ბევრი სახელოვანი მეტოქე ჩამოიტოვა. II ადგილზეა კაუნასელი ა. გედრაიტიტე, ხოლო III — ევროპის ჩემპიონი ზ. რუდნოვა (მოსკოვი).

ვაჟებში გამარჯვება იზეიმა ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონმა ა. სტროკატოვმა (ლვოვი). მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ა. ამელინი (მოსკოვი) და გ. სტრელნიკოვი (ომსკი).

წყვილთა თანრიგებში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგნენ რუდნოვა — გედრაიტიტე, მოსკოველი ს. გომოზკოვი — ბათუმელი ს. სარხოიანი და რუდნოვა — გომოზკოვი.

რვა სახეობაში

ერთ თვეს გრძელდებოდა აჭარის ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის საოლქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც რვა სახეობა იყო. ასპარეზობაში მონაწილეობდა 15 ფიზკულტურული კოლექტივის 500 სპორტსმენი. მათგან 252 კაცმა პირველად შეასრულა სათანრიგო მოთხოვნები.

საერთო გუნდური I ადგილი და გარდამავალი თასი ბათუმის სამსხმელო მექანიკური ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილზეა ბათუმის სარემონტო-სამშენებლო კონტორის ნაკრები, III — აჭარგაზის გუნდი.

რაიონებს შორის ყველას შუახვის რაიონის საყოფაცხოვრებო სამმართველოს წარმომადგენლებმა აჯობეს. II ადგილზე გავიდა ქობულეთის საყოფაცხოვრებო და სარემონტო-სამშენებლო კონტორის ნაკრები, III — ხელვაჩაურის საყოფაცხოვრებო სამმართველოს გუნდი.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ველოკროსი

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა სპორტული სიარულის საუკეთესო საბჭოთა ოსტატების შეჯიბრება. 50-კილომეტრიან დისტანციაზე ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების გერცლის პრიზიორმა, ალმაათელმა ვ. სოლდატენკომ — 4:03.42,6. ეს შედეგი მსოფლიო რეკორდია.

უწინდელი მსოფლიო რეკორდი (4:04.19,8) გდრ-ის წარმომადგენელ პ. ზელცერს ეკუთვნოდა, ხოლო საკავშირო რეკორდს (4:09.56,4) 1964 წლიდან გ. კლიმოვი ფლობდა.

შეჯიბრება ცსკა-ს სტადიონზე ჩატარდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

კვირას რუსთავში

იალლუჯის მთის მიდამოებში გაიმართება მოტოკროსში საკავშირო ჩემპიონატის IV ეტაპი. მონაწილეობენ ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები.

დასაწყისი. 12 ს.

თვალი სპორტულ ბუნებაზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა, 7 ოქტომბერი. ვარკეთილის სტადიონი. „ვარკეთილი" (გარდაბანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) —, „ქართლი" (გორის რაიონი). 9 ოქტომბერი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი). მატჩების დასაწყისი 16. ს.

ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი და საქართველოს სსრ მეცხოველეობათა აკადემიის მთამსვლელური სექცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალნენ

გურამ შალვას ძე ლოგუა,
ზაურ მიხეილის ძე მიქაძე და
ლომერ კონსტანტინეს ძე ჯინჭველაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულთა ოჯახებს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04652